

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ.ვანი თავისუფლების N65

21 თებერვალი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N27 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: მამუკა ნამიჭიშვილი

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა ბ.ნ მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა, ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი შამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N27 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ „ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N27 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია განკარგულების დანართში არსებული გარკვეული ტექნიკური ხარვეზებითა და გარემოებებით, რომლის განხორციელების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა წინამდებარე განკარგვის შემდეგ. ადმინისტრაციული ერთეულის ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა აღნიშნეს რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მხარი დაუჭირეს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი საკითხს.

გადაწყვეტეს:

დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფ. ტობანიერში მდებარე 4500 კვმ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.04.21.212 კალისტრატე ცინცაძის სახლ მუზეუმი) ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N2/

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე